

საქართველო (კითხვარი)

1 საქართველოს პარლამენტის როლი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცედურაში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი აღგენს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. იგივე დებულება ვრცელდება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე.

უფრო მეტიც, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ საფუძვლებს:

- ა) ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას;
- ბ) დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა ამ კანონის მე-17 მუხლით აკრძალულ საქმიანობას;
- გ) დაარღვია ამ კანონის 48-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნა;
- დ) ჩაიდინა მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელი;
- ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ;

ზ) მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

თ) გარდაიცვალა, ან სასამართლომ აღიარა უგზო-უკლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

ი) გადადგა თანამდებობიდან.

საქართველოს კანონმდებლობა, ხელისუფლების არცერთ შტოს არ აძლევს შესაძლებლობას, რომელიმე სამართლებრივი საფუძვლით უფლებამოსილება შეუწყვიტოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ფინანსურად ავტონომიურია, იმდენად რამდენადაც, ეს უშუალოდ გათვალისწინებულია კანონით. „სავალდებულოა საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს მისი ფუნქციების შესრულებას და მოსამართლის დამოუკიდებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე ორგანიზებული კოდით. სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობით. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული ბიუჯეტის პროექტს წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით (1.12.2009 N 2187 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან)“. („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას არეგულირებს შემდეგი სამართლებრივი აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი. სასამართლოსთვის სავალდებულოა იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტებით. თუმცა, საქართველოს პარლამენტს სასამართლოსთან შეთანხმების გარეშე შეუძლია განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლება საკონსტიტუციო სარჩელის ან საკონსტიტუციო წარდგინების საფუძველზე განიხილოს და გადაწყვიტოს:

- ა) საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, საქართველოს მთავრობის, ავხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები (25.11.04 №599).

ეს არის სამართლებრივი აქტების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა კონსტიტუციურობა მოწმდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ნორმატიული აქტების მხოლოდ არსებითი განხილვა (საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გადაწყვეტილების ოფიციალური გამოცხადების შემდეგ დაუყონებლივ შედის ძალაში. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლი ითვალისწინებს: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა იხჯება კანონით“. ეს დებულება ადგენს რომ პარლამენტი ვალდებულია გააუქმოს არაკონსტიტუციური დებულებები და მოიყვანოს კანონი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. არაკონსტიტუციურ დებულებებში ცვლილებების შეტანის პროცედურები არ არის დადგენილი. აღნიშნული პროცედურა ემთხვევა პარლამენტის ახალი საპარლამენტო აქტის მიღებისთვის გათვალისწინებულ რეგულირებას. ამასთან, პარლამენტს არ აქვს კომპეტენცია გააუქმოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და სხვა ორგანოების ინსტიტუციუნალური თანამშრომლობა შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, როდესაც სასამართლოში შემოტანილ განსახილველ სარჩელზე მოპასუხე მხარეა კონკრეტული ორგანო. მაგ.: საქართველოს პარლამენტში არის სპეციალური სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილება რომელიც თანამშრომლობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან..

II აგრეთვე აღსაღნიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს კომპეტენცია განიხილოს სამართლებრივი დავები ხელისუფლების ორგანოებს შორის. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე

უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს: **დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე.** იგივე კანონის 34-ე მუხლი განმარტავს ხელისუფლების ორგანოთა სრულ ჩამონათვალს, რომელიც ხვდება ტერმინ „სახელმწიფო ორგანოების“ ფარგლებში. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის თანახმად:

1. საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი კომპეტენცია ან დაირღვა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები; საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები; აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოებს აქვთ იგივე უფლება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დარღვეულია მათი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმეში მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულობა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა (12.02.02 №1264).

3. კომპეტენციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მიღებისთანავე საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის ან წარდგინების ასლს გადაუგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს. თუ ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში რომელიმე მათგანი განაცხადებს, რომ

კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების დაკმაყოფილება გამოიწვევს მისი უფლებამოსილების ფარგლების დარღვევას, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია განმცხადებელი მხარედ ჩააბას საქმეში (25.11.04 №1264).

სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე სამართლებრივ დაკავშირებული პრეცედენტი (case-law). მაგრამ, ასეთი სახის პრეცედენტის არსებობის შემთხვევაშიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს არანაირი მექანიზმი მსგავსი გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება“. უფრო მეტიც, არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს კომპეტენცია დაუდგინოს ვადა საკანონმდებლო ორგანოს არაკონსტიტუციური ასპექტის აღმოფხვრისათვის, რომელიც შეიძლება აღმოჩენილი იქნეს აპრიორი და/ან აპოსტერიორი კონტროლის დროს. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცნობს ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს არაკონსტიტუციურად, არ

შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც გამოცხადდა არაკონსტიტუციურად. ეს რეგულირება ცხადყოფს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და პარლამენტს არ აქვს შესაძლებლობა გამოსცეს ახალი აქტი იმავე დებულებით, რომელიც მიჩნეულ იქნა არაკონსტიტუციურად.

უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი წესი რომლითაც სახელმწიფო უწყებები აღასრულებდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.